წერილის ნომერი: **01230272672**
თარიღი: **27/01/2023**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2022 წლის 27 დეკემბრის №0122361342-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (**ს/კ:** 81.02.06.608; 81.02.06.614; 81.02.06.613; **ფუნქციური ზონა:** სარეკრეაციო ზონა (რზ); **გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა:** რზ) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების (შემდგომში - №39-18 დადგენილება) პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული გრაფიკული რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი რზ. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში - №14-39 დადგენილება) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რზ მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ან/და გასართობ-დასასვენებელ ტერიტორიებს.

ამასთან, №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკის მიხედვით, მასზე ასევე ვრცელდება რზ. ამავე დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 68-ე მუხლის თანახმად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა წარმოადგენს დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარების რუკას, რომელზეც დატანილია მონაცემები ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მთლიანი საპროექტო ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს სარეკრეაციო ზონა 2-ისთვის დადგენილი პარამეტრების შესაბამისად.**

დამატებით გაცნობებთ, რომ **საჭიროა დაკონკრეტებული იქნას საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული და ცალკე გამოყოფილი ერთიანი, კონცენტრირებული გამწვანებული სივრცის ფართობი, რომელიც განვითარდება სარეკრეაციო ფუნქციით.**

ასევე, №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა **თითოეული საკადასტრო ერთეულისთვის ცალ-ცალკე,** რომელიც უნდა მოიცავდეს ტოპოგრაფიულ გეგმას საპროექტო ობიექტების (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი და სხვა.) განთავსების სქემით, მასზე საექსპერტო დასკვნებში აღწერილი მწვანე ნარგავების ნუმერაციის შესაბამისად დატანით, ასევე საპროექტო ობიექტებსა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნით. ამასთან, ტოპოგრაფიული გეგმა უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ.

ამასთან, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი, **მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით, თითოეული საკადასტრო ერთეულისთვის ცალ-ცალკე,** საექსპერტო დასკვნაში აღწერილი და მწვანე ნარგავისათვის მინიჭებული ნუმერაციის შესაბამისად.

ამასთან, ტერიტორიის იმ ნაწილისთვის რომლის განვითარებაც დაგეგმილია სატრანსპორტო ფუნქციით, **განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ეტაპზე ცალკე გამოყოფილი და წარმოდგენილი უნდა იქნას სატრანსპორტო ზონა 1-ისთვის დადგენილი გამწვანების**

**კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაბამისი გასამწვანებელი არეალები.**

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას გამწვანების ზოგად პროექტზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ასევე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვისას მსჯელობს მხოლოდ მწვანე ნარგავების აღწერისა და მათ ხარისხობრივ შეფასებაზე წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაზე, ტოპოგრაფიულ გეგმასა და გამწვანების ზოგად პროექტზე. შესაბამისად, **მიზანშეწონილია, განცხადების წარმოდგენისას ნომენკლატურის შესაბამის ,,გამწვანების'' ველში აიტვირთოს მხოლოდ ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **მითითებული ხარვეზების აღმოფხვრამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი